საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

Legal Entity of Public Law
SOCIAL SERVICE
AGENCY

ს/კ 202178927

SSA 8 22 00612354

05/12/2022

მოქ. ნინი ელისაშვილს

პ/ნ - 01027088611

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

foi+request-1168-e9562590@askgov.ge

ქალბატონო ნინი,

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხილულ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ელექტრონული ფოსტის მისამართზე მიმდინარე წლის 21 ნოემბერს შემოსული თქვენი განცხადება (დოკ. N557315, 21.011.2022 წ.), გარკვეული სახის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე.

დასმულ საკითხთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ სააგენტოს ადმინისტრირების სფეროში შემავალი სახელმწიფო პროგრამებით მოსარგებლე, ასევე, სხვადასხვა სახელმწიფო გასაცემლების მიმღებ ბენეფიციართა და გადარიცხული თანხების შესახებ (მათ შორის: „საარსებო შემწეობის“ მიმღები ბენეფიციარების შესახებ) ყოველთვიურად განახლებადი სტატისტიკური ინფორმაციის (თითოეული მუნიციპალიტეტისა თუ რეგიონის ჭრილში) მიღება შესაძლებელია სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით (მისამართი: www. ssa. gov.ge, ჩანართი: “სტატისტიკა”).

აქვე გაცნობებთ, რომ „საარსებო შემწეობის“ მიმღებ ბენეფიციართა (ოჯახი, პირი) და გადარიცხული თანხების შესახებ საჯარო ინფორმაცია განთავსებულია აღნიშნული ჩანართის მე-5 თავში, სადაც 2008 წლიდან (თვეების მიხედვით), წარმოდგენილია ფულადი სოციალური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა ჭრილში.

თანდართული ელექტრონული ფაილის (MS_xls-ის ფაილი) სახით, გიგზავნით საჯარო, სტატისტიკურ ინფორმაციას, 2015-2022 წლებში ფულადი სოციალური დახმარების - „საარსებო შემწეობის“ მიმღებ ბენეფიციართა შესახებ. ამასთან, გაცნობებთ რომ, 2015-2021 წლების მონაცემები ასახავს თითოეული საანგარიშო წლის დეკემბრის თვის მდგომარეობას, ხოლო, 2022 წლის ინფორმაცია ნოემბრის თვის მიხედვითაა.

დანართი: MS_xls-ის ფაილი (საარსებო შემწეობის მიმღებ ბენეფიციართა სტატისტიკა_2015-2022 წლებში)

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
თამილა ბარკალაია